მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება № 03-05/26

ქ.ბათუმი 2 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ეცადეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ბესიკ სოლომონიძე პირადი №61009003721, საქართველო, ქალაქი ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N197.(შემდგომში-შემსრულებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სხვადასხვა მომსახურეობები. (CPV:98300000). ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 385 (სამასოთხმოცდახუთი 00 თეთრი) ლარს. მათ შორის 385 ლარი უნაღდო ანგარიშსწორების თანხა ყოველგვარი საშემოსავლოს გადასახადის გარეშე. მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.2. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4.დაფინანსების წყარო.სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილი და დრო- ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N66 2 აპრილიდან 7 აპრილამდე.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება კერძოდ:

- დროულად და ხარისხიანად შეასრულოს სამუშაო.
- უზრუნველყოს მისი გამართული შემდგომი მუშაობა.

დ) დაიცვას უსაფრთხოების წესები;

ე) არ დაუშვას „შემსრულებლის" შეტყობინების გარეშე რაიმე სახის სამუშაოს ჩატარება საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

ვ)სამუშაო მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალიწინებული თანხის ჩარიცხვა უზრუნველყოს „შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ -ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ბექან კოროშინაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %(სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა
LEPL BATUMI №10 PUBLIC SCHOOL
245429380

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 7 მაისის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1.ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი გათვალისწინებული მომქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა მის. : ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N121 ს/კ :245429380 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ციბერი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი :UGEBGE22 ა/ა GE06 VT5500 0000 0015 3408 დირექტორი: დ.ეცადეიშვილი (ხელმოწერა) ბ.ა	ი/მ „ ბესიკ სოლომონიძე" ს/კ 61009003721 მის.:ქალაქი ბათუმი.მაიაკოვსკის ქ. N197 ტელ.:598611995 საბანკო რეკვიზიტები: სს„თიბისი ბანკი" ბანკის TBCBGE22 ა/ა: GE44TB7235 3450 6160 0001 ი/მ: ბესიკ სოლომონიძე (ხელმოწერა) ბ.ა.

ინფორმაცია
უახლესი და მიწოდების კრიტერიუმის შესახებ
დანართი №1
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	შესყიდვის ობიექტის კოდი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	შეწობა ნაგებობების მოშახურება	385კვმ	1.00	385.00	CPV 98341130	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №66	2.04.2018 -7.04. 2018
	ჯამი				385.00		
	სულ ჯამი შესასყიდი მოშახურეობის 385.00 ლარი						

შემსყიდველი

მიმწოდებელი

LEPL BATUMI №10 PUBLIC SCHOOL
245429380

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. ბათუმი. 2 . აპრილი 2018წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ბეჟან კოროშინაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ. ი/მ„ბესიკ სოლომონიძის" (პირადი N61009003721) სახით (შემდგომი „შემსრულებელი"), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 2 აპრილს გაფორმებული №03-05/26 ხელშეკრულების თანახმად განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შენობა ნაგებობების მომსახურეობა, კერძოდ: სკოლის პირველ კორპუსში ქარისაგან დაზიანებული სკოლის თუნუქის სახურავის გარემონტება და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.(საკუთარი მასალითა და სამუშაო ძალით) განეული მომსახურეობისათვის შემსყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს 385,00 ლარი (სამასოთხმოცდახუთი) ლარი. მიღება ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარისაგან.

ზემოთ აღნიშნულს გავეცანით რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ჩაბარა მიიღო

LEPL BATUMI № 10 PUBLIC SCHOOL
245429380

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ.ბათუმი 2 აპრილი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სხვადასხვა მომსახურეობების (CPV98300000) შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, ი/მ ,,ბესიკ სოლომონიძის" მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის დირექტორი /დავით ეცადეიშვილი/

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი: / ბექან კოროშინაძე/

ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა
24542980
LEPL BATUMI №10 PUBLIC SCHOOL

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი №[illegible]
თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკის
31.12.2010 წ. №196 წლის ბრძანებით

დადასტურებული 02/04/2018 16:13

1	ეა-70 5375656

3	აპრილი	2018

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სრულად, წელი)

4	02	აპრილი	2018

გაანგარიშების პერიოდი
(რიცხვი, თვე სრულად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	6	1	0	0	9	0	0	3	7	2	1

(გადამხდელის კოდი ნომერი)

5.2	ბესიკ სოლომონიძე

(სამართლებრივი (სრული) დასახელება)

6 მყიდველი

6.1	2	4	5	4	2	9	3	8	0		

(გადამხდელის კოდი ნომერი)

6.2	სხვის ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლა

(სამართლებრივი (სრული) დასახელება)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
შენობა ნაგებობების მომსახურება	მომსახურება		385,0000	58,7300	0,0000
		სულ	385	58,73	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მეიდეველის წარმომადგენელი ხელმეწ

ხელმოწერა_____ბ.ა.

საგადახდო დავალება № 109

2 აპრილი 2018 წელი

(წელი, რიცხვი, თვე)

გადამხდელის დასახელება	სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა 245429380		
ანგარიშის დებეტი	GE06 VT 5500 0000 0015 3408		თანხა
გადამხდელის ბანკი	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ბანკის კოდი UGEBGE22	385.00
გადასახადის გადამხდელის დასახელება			
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	245429380	ბიუჯეტის შემოსულობების	თანხა სიტყვებით
			სამასოთხმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი
მიმღების დასახელება	ინდმეწარმე „ბესიკ სოლომონიძე"		
61009003721	ანგარიში (კრედიტი) GE 44 TB 7235 3450 6160 0001		
საიდენტიფიკაციო კოდი			
მიმღების ბანკი	სს „თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი TBCBGE22	
გადახდის დანიშნულება	სკოლის შენობა ნაგებობის მოვლა-პატრონობის ღირებულება		ბანკის დანიშნები
დამატებითი ინფორმაცია			ბანკში შემოსულია 04.04.18 თარიღი
ხელმოწერები:			ხელმოწერა
ხელმძღვანელი -			
			შტამპის ადგილი

LEPL BATUMI №10 PUBLIC SCHOOL

ბ. ა. 245429380

VTB BANK (GEORGIA) JSC

260